ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ „აისის“ მიერ, “ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ს. სამრეკლო

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

წევრები:

გიული გურგენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: აისი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 27 დეკემბერს გამოცემული N1422456 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ-კოლეჯ "აისის"- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის- „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის „აისის“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ვიზიტის განხორციელებამდე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ უზრუნველყო მოთხოვნილი მტკიცებულებების დროულად წარმოდგენა. 2022 წლის 18 იანვარს განხორციელდა ვიზიტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტ, ს. სამრეკლოში. წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 15-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 12 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 1 სტუდენტს აქვს მომლოდინე სტატუსი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტ ს. სამრეკლოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან და მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისგან გამოკვეთილი დაინტერესება ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის მიმართ. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, განმახორციელებლის დანართის შევსების დროს, თითოეულ მოდულს მიეთითოს ყველა შესაძლო განმახორციელებელი, რომელსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

XI. სტანდარტების შეფასება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის N02-01-104 ბრძანება, ცვლილება დირექტორის 2021 წლის 8 აპრილის N 02-01-94 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ს. სამრეკლო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯს „აისს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტ ს. სამრეკლოში გააჩნია „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის წიგნაკით და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნულ პროგრამაზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 15-ით. სწავლება ხორციელდება ორ ცვლაში. წარმოდგენილი განაცხადით, დაწესებულებამ მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 15-ით, (ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი). ვიზიტის მსვლელობისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების შემთხვევაში. პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი A/B და ერთი B გარემოს აუდიტორია, რომელთაგან B გარემოს აუდიტორია ემსახურება ზოგადი მოდულების სწავლებას, ხოლო A/B გარემოს აუდიტორია განსაზღვრულია პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. აღნიშნული აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდები, სკამები, დაფა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით - ფლეშ-მეხსიერება, პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია *(ORIS)* პროგრამა (16 ერთეული). პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ორ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი - 30 რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“, დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 მათგანი განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულებზე. ექსპერტების მოთხოვნისამებრ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებული პროგრამის დანართის (განმახორციელებლის შესახებ) მიხედვით, პროფესიული მოდულები გადანაწილებულია ზემოთხსენებულ 2 პროფესიულ განათლების მასწავლებელზე იმგვარად, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მხოლოდ 1 განმახორციელებელი. შედეგად, მოდულზე „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საკონტაქტო დატვირთვის - 27 საათი, ორ ცვლაში ერთი პროფესიულ განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელება იწვევს დასაქმებულის კვირეული მაქსიმალური დატვირთვის - 40 საათის გადაჭარბებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვინაიდან პროგრამაზე შერჩეული პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს აქვთ პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული მოდულის განხორციელების კომპეტენცია, მათი რესურსი გამოიყენება იმგვარად, რომ არ დგება საათობრივი გადაჭარბების გარემოება, რაც დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, რეგულირდება ალტერნატიული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის შესაბამის მოდულზე შეთანხმების გაფორმების გზით. ექსპერტების შეფასებით, პროფესიული მოდულების ორივე განმახორციელებელს გააჩნია შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული მოდულის სწავლებისა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, განმახორციელებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესახებ ინფორმაციის მატარებელ დანართში თითოეულ მოდულზე მიეთითოს ყველა ის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომლებთანაც კოლეჯს გააჩნია შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლების დარგობრივი და სწავლება-შეფასების კომპეტენციის შემოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტებმა დაწესებულებიდან გამოითხოვეს შესაბამისი მტკიცებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პროფესიული და ზოგადი მოდულების განმახორციელებლებად შერჩეული პირების კომპეტენცია. ასევე შედგა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან (მეორე პროფესიული განათლების მასწავლებელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო).

დაწესებულების მიერ მოწოდებული მტკიცებულებების მიხედვით და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, კოლეჯის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლად შერჩეული პირების *კვალიფიკაცია, პროფესიული სამუშაო და სწავლების გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას და შეფასებას.*

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის N02-01-104 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის 2021 წლის 8 აპრილის N 02-01-94 ბრძანება) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, რომლის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთანაც 2020 წლის 10 ივლისს გაფორმებულია შეთანხმება, პროგრამის ხელმძღვანელისათვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს მითითებული აქტივობები: პროგრამის შემუშავებაში/განახლებაში მონაწილეობა, საჭირო მასალა ნედლეულის მოთხოვნისა და განაწილების კოორდინირება, მიმართვის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის შედგენაში კონსულტაციის გაწევა და საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული პირის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი დარგის განათლება და არის მოქმედი პროფესიონალი მიმართულების მიხედვით. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომლის შედეგებითაც წარმოჩინდა მისი პროგრამის განხორციელებაში ჩართულობა, ამასთან პროფესიული განათლების მასწავლებელთა ინტერვიურებით დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მისი ფუნქცია მოვალეობების შესრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ბუღალტრული აღრიცხვა“ გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. ვიზიტის დროს, შემთხვევითობის პრინციპით, გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელოს არსებობა.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N02-01-186 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ წარმოდგენილი ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (6 პროფესიული სტუდენტი) და ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ და პროგრამულ (სუბსიდია) დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მიზნით გაწეულ და ადმინისტრირების ხარჯებს.
სსიპ კოლეჯი "აისი"-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- სსიპ კოლეჯი „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.02.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------